



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**ქ. თბილისი**

**2020 წლის 18 სექტემბერი**

**დისციპლინური საქმე №246/18  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2018 წლის 03 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №249/25/246-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 29 იანვარს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

-- -- მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში, გამოძიების ეტაპზე, სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა --- მეუღლის, --- საკუთრებაში არსებული ავტომანქანების დაყადაღების თაობაზე.

საჩივარში აღნიშნულია, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება არ პასუხობდა ყადაღის ღონისძიების გამოყენების მიზნებსა და საფუძველებს (საქართველოს სსსკ-ის 151-ე მუხლი). ავტომანქანები შეძენილი იყო დანაშაულის ჩადენამდე, --- პირადი სახსრებით და არ უკავშირდებოდა ---.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

საქართველოს მთავარი პროკურატურის --- წარმოებაში იმყოფებოდა №-- სისხლის სამართლის საქმე - --- მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

2017 წლის 08 თებერვალს, --- სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა პროკურორმა და გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების, კერძოდ, --- სახელზე რეგისტრირებულ მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადების, კანონიერად ცნობა ითხოვა.

-- სასამართლოს 2017 წლის 09 თებერვლის განჩინებით, ზემოაღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; კანონიერად იქნა ცნობილი საქართველოს მთავარი პროკურატურის -- -- პროკურორის 2017 წლის 08 თებერვლის დადგენილების საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული საგამომიებო მოქმედება - -- -- სახელზე რეგისტრირებულ -- მარკის ავტომანქანაზე, სახელმწიფო ნომრით: --; -- მარკის ავტომანქანაზე, სახელმწიფო ნომრით: -- და -- მარკის ავტომანქანაზე, სახელმწიფო ნომრით: --, ყადაღის დადება.

-- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2017 წლის 21 თებერვლის განჩინებით, -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა -- სასამართლოს 2017 წლის 09 თებერვლის განჩინება.

### 3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს სსსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ამავე მუხლის სხვა ნაწილებით ასევე გათვალისწინებულია ყადაღის ღონისძიების გამოყენების სხვა სპეციალური საფუძველებიც.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ყადაღის დადების (საქართველოს სსსკ-ის 155-ე მუხლი) საკითხთან მიმართებით მოქმედებს იგივე სტანდარტი (საქართველოს სსსკ-ის 151-ე მუხლი).

საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, -- სასამართლოს 2017 წლის 09 თებერვლის განჩინებით, კანონიერად იქნა ცნობილი, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ყადაღის ღონისძიების გამოყენება -- -- კუთვნილ ავტო მანქანებზე. განჩინებაში სასამართლო მიუთითებს: „შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციიდან დგინდება, რომ -- -- არ გააჩნია დეკლარირებული შემოსავლები... ყურადსაღებია ის გარემოება, რომ -- მარკის ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით -- თავდაპირველად გაფორმებული იყო -- -- და მხოლოდ 23/05/2016 გადაფორმდა -- --, ხოლო -- მარკის ავტომანქანაზე სახელმწიფო ნომრით -- 2017 წლის 15 იანვარს ადმინისტრაციულად დაჯარიმებულია თვითონ -- --, ხოლო -- მარკის ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით -- -- დარეგისტრირდა 11/12/2016 წელს, მას შემდეგ რაც -- -- თაღლითურად დაეუფლა ფულად თანხებს.“

-- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2017 წლის 21 თებერვლის განჩინებით, უცვლელად დარჩა -- სასამართლოს 2017 წლის 09 თებერვლის განჩინება. სასამართლომ განჩინებაში მიუთითა: „საგამომიებო კოლეგია სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს, რომ ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შეეხება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს, იძლევა დასაბუთებულ ვარაუდის საფუძველს, აღნიშნული დაყადაღებული ქონების კავშირსა და შემხებლობას მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან“.

საჩივარში აღნიშნულია, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება არ პასუხობდა საქართველოს სსსკ-ის 151-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ, არ დგინდებოდა ყადაღის ღონისძიების გამოყენების მიზანი და საფუძველი. ავტო მანქანები შეძენილი იყო დანაშაულის ჩადენამდე, -- -- პირადი სახსრებით. შესაბამისად, იგი არ იყო დაკავშირებული ბრალდებულ -- --.

საქართველოს სსსკ-ის 151-ე მუხლთან მიმართებაში გარემოებები: „ბრალდებულის, ...მასთან დაკავშირებული პირის“, „ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ“, „ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული“ და ა.შ. ფასდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით. შეფასება ხორციელდება საპროცესო წესის საფუძველზე, მოსამართლის შინაგანი რწმენით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა, არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა (Barberia, Messegue, Jabardo v. Spain, §68).

საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ სადავო საკითხზე მსჯელობა და მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობის შეფასება, მოიაზრებს სასამართლოს შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი დასკვნების შემოწმების აუცილებლობას. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, ამგვარ სასამართლო აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა დაუშვებელია განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით. ხოლო კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს

მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 17 ოქტომბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ვ ე ტ ი ა :**

-- -- 2018 წლის 03 ოქტომბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**